

№ 3

ကျော်မြန်မာစု

နယ်မြန်မာစု



1928

နယ်မြန်မာစု

## შ ი ნ ა ნ ა რ ს ი

1. გაზაფხულობა—ლექსი დ. ელიოზიშვილის	1
2. რენო—გარლამ უურულის	2
3. ბავშების სისხლი ბარიკადებზე—ლექსი სიმონ წეველის	6
4. ჩვენი დღესასწაული—ისრის	7
5. გაუმარჯვოს მშრომელ ქალებს — დ. კობიძის	11
6. შოშიების სიყვარული—ნ. კეცხოველის	12
7. გაუმარჯვოს რემედასს—მ. კეჩიუაშვილის	16
8. ბუნების გალვინება—ლექსი	19
9. პატარა შეენებლები—მანის	21
10. აბა ქრისტ შევიხედო—გალომეული—ნ. უთურგაურის	23
11. ლურჯი კვავეილი—დ. ცემათიშვილის	26
12. გვიამბე, ძია ნიკო—შ. ფარუნალელის	29
13. ბავშთა შემოქმედება ყდაზე.	

---



1928  
მარტი

საქართველოს მ. კ. თ. ცენტრალური მინისტრის  
(ხდ. ა. ღ. კომისაგნისაბ ცენტრალური) და განა-  
თლების სას. კომისამ. სოფიალური აღმნიშვნელ  
მთავარმართოւლით მ. ცენტრალური მინისტრისათვის.

წელიწადი |  
№ 3

## გ ა ზ ა ფ ხ ე ლ დ ა ! ..

გაზაფხულია! მარტის მასალებრივი  
ნიკო, ვაჟა,  
შალვა, გავა  
გიგი, ტაძე  
მარგალიტა,  
პეტრე, ნინა,  
გიორგი და  
ცელები მინა  
ახმაურდენ,  
იცინდან,  
სისარულით  
სტიან, ხტიან! ..

ბეჭ, იქთ,  
მინდოორ ქველად  
მოუყოინა  
ევერა ხელად! ..  
გაზაფხულდება! ..  
სისარულით  
აუქერდეთ  
ბაგძებს გული! ..  
ვაძა, ვაძა! —  
რა ქარგია  
ჭრელქათიბა  
გაზაფხული! ..

დ. ელიოზიშვილი.



## რ ე ნ ი

1

მუადამე იქო. საგუშავოდ გასულმა მეზღვაურებმა ჰდფის პირას ნახეს უბინადრო რენო, ფეხშიმჭვლი, ნახევრად მძიერი, ფერმურთალი; დახეულ ქურქი გამოხული იწვა იგი მეთევზეების მოლურჯო ნავში და შესცეკროდა კრეიისერებს და გულში ნატრობდა—,,ნეტავი მეზღვაური გამსადაო“.

რენოს მაღაიან უევარს მეზღვაურები. იმათუე ფიქრობს უთველდამ. სისმარმიაც ხედავს მათ. დღისით იგი ლუკმაპურის სამოვნელად დაქეტება ქუჩა-ქუჩა, თავის ტოლ-ამსანავებთან ერთდე ხშირად ჩაუვლის სასადილოებს, სან თხოვლობს, სან თამაშობს, სან ჩეუბობს, სან კი უკან დასდევს ქალაქის ბაღი მოსეირნე მეზღვაურებს. სადამოებით ჩემად გაეპარება ამსანავებს, მარტო ბრუნდება ნაესადგურში, ჩაწება მეთევზეების ნავში და ნატრულობს—,,ნეტავი მეზღვაური გამსადაო“.

2

რენო და სამი მეზღვაური.

მძობელ მხარეს ფიქრობდა რენო, როცა მოესმა მეზღვაურების ჩქარი ლაპარაკი და ნიჩბების სხა. შემინებულმა რენომ ნაგად-დეურისაკენ მიასვრო თვალები. შორიდან შენიშნა სამი შეიარაღებული მეზღვაური ისინი დიდი სისწრაფით მოაქანებდენ ნაგს.

რენოს გული აუთოთოლდა, მუხლები აუცილებელი; იგი შეეცადა დაძლებას, მაგრამ გვიანდა იქთ. მეზღვაურებმა მოჰკრეს თვალი და დროზე მიუხსრუეს.

— კინა ხარ, რა გინდა აქ, რას აევთებ ამ შეადამით? — შეეკითხა ერთი მეზღვაური.

— მე უბინადრო ვარ, — დაიწუო რენომ, — ჩემი სამშობლო სოფელი კირიმძია, ჩემი სახლი-კარი თეთრგვარდიელებმა გადასწუსეს, ღეღ-ძამა ოფიციალებმა მოძიებულებს ხანჯლით, რადგან ჩემი უფროსი მშვიდე მეთაურობდა მათ წინააღმდეგ მებრძოლ წითელარმიელთა ჯარის. ერთი თეთრგვარდიელი მეც მიაირებდა სიძრზე აგებას, მაგრამ მე-შეცოდე, რომ პატარი ვიუვი და ამ მოძკლა. ერთმა ჯარისკაცმა წამიერანა თეთრების ბანაკში, მათთან ვცხოვრობდა წითელების მოსვლასძე.

— კი, მაგრამ, როგორ მოსვდი აქ, ჩემთ პატარავ? ღმობიერად შეეკითხა მეორე მეზღვაური.

— როცა წითელი არძის კარებმა თეთრები დამარცხეს, — ტანაგრით რენომ, — მე თეთრგვარდიელებს გაჲვემცი, თავი შევაფარე წითელებთან, ისინი კარგად მექცეოდენ, მივლიდენ, მეფერებოდენ, თეთრები კი ერველთვის ძროდენ. წითელარმიელებთან ვცხოვრობდი ერთი წლის განმაფლობაში. ბეჭრი გვითვი ჩემი უფროსი მშვიდე, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე. გავიდა რაძლენიმე ხანი. ფრთხოებიდან მოისხნა ჯარი, მეც თან გავეკვი მათ, მაგრამ მალე დაჭმორდი: ისინი თავის სოფლებში ბრუნდებოდენ, მე კი სად უნდა წაგრძელოვავი, როცა ჩემი სოფელი საგნებით გადამწვარიერი. ისევ ქალაქში წასვლა ვამჯობინე. ღუქმაპურის სამოვნელი ერთი ქალაქიდან მეორეში გადავიდოდი. დაიწუო შიმშილობა და გაურცელდა სისეადასხედ ავადმეოფობა. დიდი ტანკების გამოვიარე. ჩემი ბაზარისა ქეჩა-ქეჩა სეტიალში გავატარე. ასლაც ასეთ მდგამარეობაში ვარ, მაგრამ, თუ ჩემი უფროსი მშვიდე ვიქნები.

უკანასკნელი სიტყვები ისევ გულამოსკუნით წარმოსიტქა რენომ, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ნუ გეშინდა, ხემთ პატარაჭ, ხშენთან წამოდი კრეისერ „ბოლშევიკი“<sup>1</sup>, მენ ჩვენი უძრობასი ამხანაგი უნდა გახდე.

რენთ მეტად გაახარა მეზღვაურების დაპირებამ. გული გაუმარდა და ადტაციებით წამოიძახა:

— კარგი! მე თქვენთან წამოვალ, თქვენ კეთილი ადგმიანები ხართ!

რამდენიმე წუთის შემდეგ მეზღვაურებიმა ასახთა გაჭვრეს, რენთ ნავმი ჩასვეს, ნიჩბებს მოუსვეს და ელვის სისწრაფით მოძროდენ ნაპირს.

## 3

## დაკარგული ძმები.

იმ დაშით რენთს თბილიდ ემინა კრეისერ „ბოლშევიკი“.

გათენდა დილა. ცის კბადონზე ამოახათა შეემ. ნავსადგურში გაისმა კრეისერის სირენის ხმა, რენთსაც გაედვიდა. მეზღვაურებიმა მას ახალი ტანსაცმელი ჩა-



აცვეს. რენთს სისარულით გაეციო გული. ირგვლივ გაიხედგამოიხედა. ეველაფერი ეუცნოვა კრეისერზე. თვებლი გადაგვლოდურჯად გამლილ ზღვის სიკრცეს. შორიდან დაინახა ნავსადგურის შექერა, მაღალკოშკინი სახლები და ქალაქის ირგვლივ მდებარე მოებზე აგმაული ცისე-სიმაგრეები.

გავიდა რამდენიმე დღე. რენთ შეეჩიდა მეზღვაურების. ჰქონდა დაუმკიობრდა, ხწევლით და წერა-კითხებას, ეველაფერის მაღალ ითვისებდა.

ერთ სადამოს მეზღვაურებიმა რენთს მოწევნა შენიშვნებს და კაზირანს უთხრეს. კაზირანმა რენთ დაიბარა და მიზეზი გამოკითხა. რენთმ ეველაფერი სოჭა.

— ჩემი მმა წითელ პრინციპი თეთრების წინააღმდევები იძრმოდა უირიმმი, მეოაურად იყო, — უბასუხა რენომ.

— მერე, რა დაქმართა?! — გაოცემით იკითხა კაპიტანშა.

— არ ვიცი, არ ვიცი ახლა სად არის! ამოიხენება რენომ და მოჭება თავის თავგადასხვადის. მან მოიგონა თეთრი გარდელეფები, გადამწვარი სოულები, სახლები, ოუდცრების მიერ სანჯლით მოკლეული დედ-მამა, მისი თეთრებით ტევეობაში უოფნის დღეები და წითელპრინცელების თავგაბნერელი ბრძოლები.

კაპიტანი გულმოდგინედ უსმენდა რენომს. უეცრად ჩაფიქრდა, იგრძნო, რომ მის წინ დგას მისი უძრცონი მმა ბატარა რენომ, რომელიც თავი წლისა იყო, როცა მსოფლიო ომში ჯარისხადა წაევანის დროს დასტოება მის. კაპიტანმა უცბად მოხვია ხელები, ჩაიკრა მკერდში, დაუწეო ალერისი:

— ჩემი ბატარა ძალიკა, ჩემი უძრცონი აშანავ!

კრეიისერის ბაქნები მდგარდა მეზღვაურება დაინახეს თუ არა აღელებული კაპიტანი და რენომ, ცნობისმოუვრეობით ინასულებს თრიყე მმა. კაპიტანმა განაცხადა, რომ რენომ მისი ნაძღვილი მმა. ეს ამბავი ძალიან გაეხსარდათ მეზღვაურებს, გადაჟეოცნებს კაპიტანი და მოულოცებს დაგარისული მმის ბოვნა. რენომ კი არ იცოდა რა აქნა. თვალებს უფარავდა ცრემლის მძივები და სიხარულით ქავეოდა თავის უფროს მმას, კრეიისერ „ბოლშევკის“ წითელ კაპიტანს.





## გავშეგის სისხლი გარიყადებზე.

(პარიზის კომუნა)

— მიწს მტარებდები!  
 — გამა კომუნას!  
 უციროდა სალისი აჯანუებული.  
 ბარიკადებთან  
 კარიბოდენ  
 და თან  
 ბრძოლის სალისით უცემდათ გული.  
 მრომის უბანში აკებდენ საფრებს,  
 სწეუროდათ ჩაგრულთ თავისუფლება.  
 კომუნა იქ იმედი მათი,  
 სალის მიზანი, სასო და მექიბა.  
 მაგრამ ჯაფათმა მოიკო მრმოლა,  
 და უკანასკნელ ბარიკადებთან  
 მეჯგუფდა სალი გამძაფრებული,  
 რომ ცარე თქმი დაუწეო მტერთან.  
 ბნელოდა...  
 დიღა ასლოვდებოდა,

ახლოფერებოდა სისხლის ღირის ქაში.  
 ბარიკადებთან გამოსწოდა თრი  
 ჰატარა ბავშვი:  
 ლურ და ქანი.  
 მათ მოელი ჭვირა არ სისხლისთვის.  
 იბრძოდენ სხვებთან, როგორც დიდები.  
 თოვეს ჭრ ხმარობდენ, მაგრამ ჯალათებს  
 კიდელებს ამტროკვდენ გასროლიდ ქვებით.  
 იმათი დედა კომუნისტია.  
 მათ არ იციბნ, რომ მამას გუშინ,  
 ბარიკადებთან წახრილს,  
 ბრძოლის დროს  
 ტევდა ჩაუსო მტარებლმა გულში.  
 სისხაშე ისევ დაიწურ ბრძოლა,  
 დილით კა, როცა ჩამოწევა ნისლი,  
 ბარიკადებთან უცარზე ეცხო  
 თავგანწირელი ბავშვის სისხლი.

სიმონ წეველი.



# ჩვენ ბავშვები



ბუხარი გუშეგუჩებდა. თამრიცო და იღო მოსკოვომოდენ მაგიდას და შესურებდენ გამხიარულებულ ბუხარს. თრიფეს შეწუნებული სახე ჰქონდა.

— ბაბ, იღო, როგორ შევასრულოთ ჩვენი სელმდვანელის დავალება 8 მარტის შესახებ? სომ იცი, სვალ დედა რომ არ წამოვიდეს ჩვენ პლები, ეს ჩვენი დიდი სირცხვილი იქნება.

— მეც მაგაზე ვფიქრობდი სწორედ.

— ჩვენ უნდა გაცადოთ დავარწევნოთ დედა, რომ სვალ მისთვის აუცილებელია დასწრება.

— ისევ შენ თუ ეტეჭი, თორებ მე არ დამიჯერებს.

— რას მოდუშულხარ, ბავშებო, ამ მსიარულ ფეცხლოთან! — შემოსვლის უძაღა უთხრა მათ მაძა.

— ახლა მრყვიდენ და ადგათ დადგილებრივი არიან! უთხრა მარიამა.

— მშია, მაჭამე რამე, მერე სამკითხევლობი უნდა შევიარო, დღეს გაშეთ არ წამიკითხავს.

— წადი, წადი, — ბუხუნებდა მარიამი, — დილით ბავშები სასწავლებელში არიან, შენ ქარისანაძი. სადამოს ვერცხლის გერ გნასავთ, მე კი გარეუძიგით გზივარ მარტი. დამასწრო თჯახურშა საქმე, არცერთი არ მეშველებით.

— მერე, დედა, შენ კი კიძლის წასელას?

— კი მიძლის და თქვენ. სადამოთი კველა შემომეფანტებით და მეც სომ არ გავანებებ ამ სამი წლის ბალვს თავს. თჯახს ბევრი



რამ სჭირია: დაკურება გვინდა, დაწერხა... რომელი ქრთიშმოქმედია  
თაღლოთ.

— ჩენ გაშაკეთებთ, დედა, ჩენ! აი, ხვალ მოელი დღე მამა და  
იღო დარჩებიან შინ, მე და შენ კი კლუბში წა-  
გიდეთ, ხეალ ქალთა დღესასწაულია და ჩენ კლუბ-  
ში საზეიმო სხდომაა. ჯერ მოსხენება იქნება 8  
მარტის შესახებ და მერე კი წარმოდგენა და კონ-  
ცერტი.

— რაო, რაო, მამა დარჩება შინ? თქვენი გა-  
ქმთებული საქმე ვიცი რაც იქნება!



## II

ჭ. ლერონი.

— აბა, იღო, მაღლიან ადრე უნდა ავდევთ, რომ მოუასწროთ,—  
ჩერწულობენ ბავშები ლოგინში.

დილის თთხი საბათია, იღო და თამრიყო უბევ ფეხზე არიან  
და გამალებული მუშაობენ. იღო ქმნით ხეხავს ქაბებს, იატაკს  
სწმენდს, თამრიყო კი წინადღით დედის დარეცხილ სარეცხს გა-  
ხქარებული აუთოგებს. თამრიყოს მაღლიან ქჩარება, ახლა უნდა ად-  
რევი დაადგას სადილი, ოთხსი დაალაგოს, ოთხსი 8 მარტის  
პლაკატები უნდა გააკრას, სამოვარი ააღელოს და თვითონაც მო-  
ქმნადოს სახვალიოდ.

აბერ შვიდის ნახევარია და ბავშებმაც მოათავეს საქმე, მაგრამ  
მაღლიან დაიდალებ, მიღი მოერიათ.

— უა, საწეალი დედა, — წმოიძახსა თამრიყომ. — როგორ აუ-  
დის ადგენ საქმეს! როგორ მტკიდა თითები!

ამ ლაპარაკში იუქნენ ბავშები, რომ მოეხმათ დედის სმა.

— რამ აგავენაო, ბავშებო, ასე ადრე, რა ამბავია?

— დედიკო, დედა, — უედ ზე ბემოვერა თამრიყო — უმელაფერი  
გაჟოებულია, ახლა სომ წარმოვალ ჩენ კლუბში?

მარიამი გაშტერებული შესურებდა სან ქრთს, სან მეორეს, უშიორდა ბავშების ასეთი საქციელი.

— წამოვალ, შვილო, წამოვალ!

— ჩენ გავიძარჯეტ, მამა, ჩენ!

სადამოთი მარიამი კლუბში იყდა. აგერ კიდეც დაიწუო მოხსენება 8 მარტის შესახებ მომხსენებელმა ქალმა.

— ამხანაგებო! დედამიწის თითოეულ კუთხეში მმრომელი მუქა ჭლები და კლებქალები ერველწლივ დღესასწაულობენ რევოლუციონური მოძრაობის საერთაშორისო დღეს, 8 მარტს.

  
 ჟულა კუთხის მმრომელმა ქალმა ენდა იცოდეს, რომ მომავალი კომუნისტური საზოგადოების დასაარსებლად საჭიროა ბრძოლა და ამ ბრძოლისათვის კი საჭიროა მათი რიგების გამრავლება და შეგრძელება. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის, რომელმიც მმრომელმა ქალებმა შეუწვალე მონაწილეობა მიიღეს, ქალებს მიანიჭა სოული თანასწორობა, რომლის შეგავსი არცერთ ბურჟუაზიულ ქადაგში მიმდინარეობის არ არის. მამ გაუმარჯოს ქალთა საერთომორისო დღეს, 8 მარტს.

— მარიამი გატაცებული უსმენდა მომხსენებელ ქალს და მაღალე დაატანდა:

— მართალია, მართალი!

აა, გაათავა მოსხენება და მომხსენებელი ტაძით დააჯილდოვეს. ათ კიდევ ერთი პატარა, 12-13 წლის გოგონა ამბობს სიტყვას. მარიამი თავის თვალებს აღარ უჯერის, ეს სომ მისი თამრიგოა! აქ კი მარიამი მთლიან სისარულად გადაიქცა და მოცინარი დედა-შვილის თვალები ერთმანეთს შესვდა.

ისარი.

## ՑԱՌԱՐՁՈՍ ԹՇԻՇԵԼ ՀԱԼԱՎԱՏ!

ծյառտուա հցնու վետո  
 ջա Նշողածնուց Նիշալուս քարցագ;  
 մշմառնա պարուն յրտուն,  
 ուրուս կը բա, ուրուս յարզակ.  
 ու մշմառնա և հշմագ նուն,  
 վոն քրումա պյուս քաջցնուն,  
 նյմնու զագուն և զամուգուն,  
 ջատածնեյն ըլյուն ջամունուն.  
 ըրմենունու ոչալոյն ապալոյն,  
 ոյտուն մապուն ամոխերցա:  
 „ըշմարժուս մմուռմյուլ յալոյն,  
 զաշմարժուս հցն ջայն—բյա մարմին“.

Ծ. Կոնօսյ.



# შოთარის სიყვარული



— დავრო დალალი, დალალი, დავრო დალალი, დღეს ენძელა დავინასხე, მას ვენაცვალდე... — მოსტოროდა და მოძრეოროდა თავის წერილი სმით შალვა, სელი კი ენძელა ქვირი და გაბრწევინებული თვალებით დაჭაროდა. ან როგორ არ გააჩარებოდა, ეს თვალებისა გასაფრელის პირველი ეჭვილია, ჩვენს მიხდორჩე გადალილი...

იმ სიძერით მიირინა ტოლებობი და ხან კრთს აჩვენებდა და ხან მეორეს. მათც არა ნაკლებ გაესარდათ, ან რატომაც არ უნდა გააჩარებოდათ? შალვასა და მის ტოლებს ერთეულოვას უხარისხო პირველი ეჭვილი, ეს სომ მათი საუფარელი ლამაზი გასაფრელის მოახლოების, თითქმის მოსელის ნიშანია...

— აბა იმ გაჭლის ტოტებში გაისულეთ! — ეშმაკური ღიმილით გაიძვირა სელი კაჭლისებუნ გივის.

— მოშიება! მოშიება მოფრინდენ!.. მამ სულ გასაფრელებულა!

— ფრთხის როგორ აბურძელისა დაქოთ, მიზანობის ქათიბი ჯერ არ შეუდაბესიერია...

და ეკლეს მოცეკვიცელა სკოდისებუნ, უნდოდათ თავის სისარული მასწავლებლისათვის გაესიარებიათ.

მასწავლებელს გაესარდა მათი დაჭარისება და უამბო მოშიების ცნოვრებაც, მათი მოგ საურობაც, ენძელაც არ დაივიწე, მას თურმე ბოლქვები აქვს დაგროვილი სასრდო და მსე მოათბობს მიწას თუ არა, ისიც მაშინვე იღვიძებს.

მეორე ღღეს მაღვას კლდია კცა. არემარე კედარ იცნო, თოველით იქო დაფრიდი. მართალია, თოვლით თხლად იქო, მაგრამ ირგვლივ მთა და ბარი ჩამონისლული იქო, და თეთრი ფიჭვები უხვად მოდითდნ ღედამიწისექნ. გულძირ რადაც ჩახედა, მისი ენელები კვლავ თოვლით დაიყარენ, გუმინდელი მოძები რას იჩამენ ნეტავ?

ამან შენიშნა კიდევ, ეწოდი მდგარ კერძების ტოტე შემოჯდა ერთი თარი აბუზელი შობა, პირდაღებულები და აბურმიზნილები საცოდავად კლუტელულობდნ.

მაძინევ გადახეწევიტა ახლავე უნდა გაუმართოთ ჩიტის საკვები მაგიდები და მათვის ჰატარა სახლები დაკეიდოთ, თორემ სად იმოვიან სახრდოსო. ტოროლა და ბედურა თუ მოუღობენ?

— ისინი სამოარს შეჩვეულები არიან, მოძების კი სამორისა არა ეხმით რა,— სტეფან შალვაშვილი.

მცირებნის შეძევებ სხედადსხება მხრიდან ისმოდა ჩაქების კაცენი. მოძების შეზომრები საშემო მაგიდებს და ხის ჰატარა სახლებს მართავდენ გაჭირვებაში ჩავარდნილი მოძებისათვის.

— ნუთუ არა ეშველებათ რა? — გულდაწევეტით ამიტობდა შალვა და ხის ერთ ხეს მასედავდა, ხან მეორეს, იქნებ იქ დაკინახო გაჭირვებაში ჩავარდნილებით, მაგრამ თოვლით ისე ხშირად მოდიოდა, რომ ჩედვას უმდიდრ და უერთდებ შემომარტებელი...

მოელი დამე კვლავ ისევ თოვდა. არც მეორე ღღეს შეწერებულა...



თოვლისან.

„ამ რას ნიშნავს აჩქარება, მაგრამ რა იცოდენ, რომ გაზაფხული ზამთრად ჟენეველებოდა!“ მსჯელობდა თავისთვის შალვა და დადიოდა გადათეთრებულ ვენახში. ვაზები თოვლის სიმბიოსაზე მიწაზე იწვენ, დადიოდა და ემებდა: ვა თუ მოძია დახუსტდა სიციდისაუკან და თოვლის გდია სადმეთ!! მართლაც, სძირია, როდენსაც ფრინველის სიცივე შეაწეხებს, ხის ტოტზე კუდარ ჯდება და ძირის გარდება და სძირად იღებება.

უცბად შეკრთა, უპან გადახტა: მის ფეხებთან წამოვარდა რაღაც ცხოველი და ღრმა თოვლი ხტენვით გაკვალა.

— საჭეალო ურცექვიტავ, შენც მეგაზუსა მეორე სამთარისა? — და გაბეობდა თვალი დამფრთხალ ურდღელს.

მაგრამ აგერ ღობის მირძი რაა შავად, ნუთუ შოშია?! — და მირძის შალვაც. მართლაც შოშია, ჩამოუერია ფრთები და კანკალებს, საცოდავად პირს აღებს, შეელას თხოვდობს.



ფრინველების სახლების კეთებას უუდან.

— ჩემთ კარგო შავას-თობავ, — ისუტებს ბულმი შალვა და ჰერცნის მოწინწერულ თავზე... სკოლისკენ მიჰეავს, იქ ცოდნაბლი კუთხე აქვთ, მოასელიავებდნებს, მოულის და იქნებ გადაარჩინოს... რამოდენიმე სიება დაჭხვდა. ილიკოსაც მოენახა ასეთსავე დღეში მეოუთ თრი შოშია და უკმი თავს დასტრიდლებდნენ, რმე-ში ჩამანალი პურის ნამციცებით ჰქობავდენ, ოთახში ბუხარს შეძას უმატებდენ, იქნებ სითბომ მაინც უძველოს რამეთ...

შოშიები საცოდავად კანკალობდენ, ოდნავ და მღივს აღებდენ პირს.

— მრავალი უბედურება გადასწებათ ხოლმე უცხოეთი მოსამთრე ფრინველებს, — უამობდა თან მასწავლებელი, — ხანამ ჩვე-

ნებდე მოაწევენ, ბევრი იღუპება, მათ შავი ზღვაზ უნდა გაჭიროს  
რონ, გადმოიტორინონ და ამ შავ ზღვაში ამოვარდება ქარიშხალი  
და მისი სიძლიერე აღარ უმვების წინ და დააქანებს ძეგლ-ოქით.  
ფრინველი იღლება, ვარდება ზღვაში და იღუპება.

— განა ეს არ კეთვათ, რომ აქც ეს უბედურება დახვდათ!—  
შენიშნა რომელიღამაც.

— და რომელიც აქამდე მშვიდობით მოაწევენ, მათაც ზოგ-  
ჯერ ასეთი ბედი ეწევათ, დაიჭრის ახალ სცცივების და მსოფლიო  
ძლიერნი თუ გადარჩებიან...

— გადარჩებიან, გადარჩებიან... იმასდა და უშელას ადემია  
სურვილი რომ მოყნათ, კიდევ უაუნათ, აღბათ, იუკნე ამათ  
დღეში შეოუნდა.

მართლაც, ორი კიდევ მოცევანეს და უკლიდენ გულიანად, არა-  
ურს აკლებდენ. ერთი კირის შემდეგ ჭრავ შეიძინ დღეები და-  
დგა, დაწა თოვლი, აგარდა ჟაერში ომხივარი და წელები წავი-  
დენ მდგრიე დეპრად.

მაშინ, როდესაც სკოლის ფანჯარაში შის სხივი თაბაშაძებო-  
და, შოშიებიც აუღურტელდებოდენ და შესაროდენ სანატრელ  
სხივების...

ძაგრამ კარში არ უძვებდენ, ემინოდათ, ვაი თუ კვლავ ცხდი  
დარი დაიჭიროსთ. და მსოფლიო მაშინ, როდესაც ენმელას ეთი-  
ვარდა მოჰევა, მას ია, და მინდორსა და მდელოს სიმწვანე და-  
ეტუ, გადასწევიტეს გაეფოთ კართ...

სახეიმო დღე იუ სწორედ მათთვის, გადარჩენილები უნდა  
დაებრუნებინათ ბენების წიაღისათვის. მასწავლებლის რჩევით შემ-  
ლას ნიძანი დადგეს.

და იუ სისარული და აღტაცება, როცა კარში გატრენილი  
შოშიები შეტრიალდენ ჟაერში, დაუარეს წრე და იქმი, ფანჯარას-  
თან ჩამოშევბულ შტოსე ჩამოსხდენ და ხეთივემ ქრთად მორთო  
ჭიჭიკი და გაღლობა. ეს თითქო სამაღლობელი ჟიმნი იუ,  
რომელსაც ხავსე გულით უგალობდენ თავის შესხვების. დიდ-  
სანს, დიდხანს გაღლობდენ ასე.

ბოლოს ფრთას ფრთა შემთხვერეს და გაქრენ ცის კამარა-  
ში. ბალდები გასცემროდენ ლაჟარდ ცას.

## გუგარჯოს რემადის

შიოდათ პატარა ქანს და მარის, შიოდათ და ცარიელ თაროს მეორმოცვე შინჯავდენ, რომ იქნებ პატარა ნამცეცი მაინც ეპოვნათ.

— ქან, ღერა მოდის, — წამოიძახა მშრიმ. იქნებ რამე საჭმელი მოაქვს.

— არაფერს არ მოგვიტანს, — წაბუზდუნა ქანმა, — ის ხომ ციხეში იურ მამის სახახვად და იქიდან აბა რას გამოატანდენ!



— არ მაჩვენებ, ჟელო:

მოსცვეივდა და ის იქნე პატარა ტახტზე ჩამოკდა.  
თორმეტი წლის ქანი აენთო.

— ღერა, ჩემთ ღერა, ნუ ტირი, მე გაუისრდები და მათ სამაგიუროს გადაუქციდ.

— ღერა, მე ღლეს არაფერი არ მიშამდა, მშია, — მოაგონა მარიმ.

— მეც მშიან, მაგრამ, ხომ ხედავ, ვითმენ, — მეუტია ქანმა.

— თჯ, ჩემთ ქან, რა გაემჟღება! მამა ციხეშია, მე კი სამუშაოს არავინ მაძლევს, ქალი ხარ, რა შეგიძლიაო. ოს, როდის დადგებია ის ბევრიერი ღღე, როცა აქაურ მუშებსაც ისეთივე უფლებები ექნებათ, როგორც იქ.

— საღა, ღერა?

— იქ, შეიღოთ, შორის, საბჭოთა ქვეყანაში.

— ღერა, ღერდიკო, მამა ნახე? როგორ არის? — შემოეხვიენ ბავშები ღერას, რომელიც დადლილობისაგან სულს ძლიოვს ითქვებედა. — რა გითხორა მამამ, მაღვე გამოუშვებენ? — ერთმანეთს ადარ აცლიდენ ბავშები.

— არ ვიცი, შეიღოთ, რა გითხორა, არ მაჩვენეს და არც წერილი გადასცის.

ახალგაზრდა ქალს ცრემლები ჩა-

— რა არის იქ, გვიამბეკ, ღერა! — შემოეხვიდენ სკლასხლა ძაღმებიც,  
— ჟო, უკრი დამიტყეთ, — დაიწეო გახსრებულმა პატარა იმ იმე-  
დით, რომ ბავშებს ცოტასნით მაინც გადაბუიწებდა სამართლის,  
როგორც აქაურ მუშებს არაფერდ აქვთ, წინათ იქც ისე იუ, მუ-  
შაობდენ და სელფასი კი მაღიან ცოტა კმლეოდათ. როგორც  
თქვენ, იმათ შეიღებსაც შითვდათ სოლმე.

— მერე, ღერა? — წამოიძახა მოუთმენლად ზატარა მარიმ.

— მერე აჯანუდენ მუშები, მდიდრები დამბარცხეს და მოიპო-  
ვეს ზური და თავისუფლება. ოს, შვილო, იქ რა კარგად ცხოვრი-  
ბენ თქვენისთანა ზატარა ბავშები! დიდრონ სახლებში ცხოვრიბენ  
და სწავლობენ. ბეჭრი მასწავლებელი ჰყავთ, როგორც აქ მდიდრის  
შეიღებს.

— მერე, იქ მუშებს არ იჭერენ? ჸკითხა ქანმა.

— არა, შეიღო, ხომ გრებინები, იმათ თავისუფლება მო-  
იპოვეს.

— რა კარგი ეოფილა იქ! —

სთქვა ქანმა. ნეტავ ჩვენც იქ გცხო-  
ვრობდეთ.

ბავშები ჩაფიქრდენ, სიჩუმე ხა-  
მოვარდა. იმ დროს კარების ტაქტი  
გაისხა.


— ვინ უნდა იუოს? — სიჩუმე გა-  
ვირევებულმა ღერამ და კარების გა-  
საღებად წავიდა. შეძინებული მარი  
კაბის კალთასე სელმოკიდებული გაჲევა მას.

კარებში გამოჩნდა ახალგაზრდა მუშა.

— ძია ქორქ, ძია ქორქ, — შემოეხვიდენ ბავშები. მუშამ ალერ-  
სიანად გადატკოცნა თორივენი და ძემდეგ ქალს მოუბრუნდა.

— ძლიბათ, ძალიან გაგიჭირდა, ძნა.

— ძალიან, ამსანაგო ქორქ. აი, ასლაც მშიურები არიან  
ბავშები.



— ეს, მარი, მოდით აქ, რაღაც გიამბოთ,— მოუბრუსნდა ბაჟ-შებს ახალგაზრდა მუქა.— ხუთი წელიწადიდა მას შემდეგ, რაც რუსეთში მუშებბს დააარსეს სახოგადოება „რემედასი“.

— დედა, იმ რუსეთში, შენ რომ ახლა გვიამბი?

— დიაღ, იმ რუსეთში,— უძისესა დედმი.

— რა არის „რემედასი“? — იკითხა ქანქა.

— რემედასი არის სახოგადოება, რომელი კოველმხრივ ესმარება აქ დაქერილ მუშებს და მათ ოჯახებს, ამ, როგორც მამაშენია, ისეთ მუშებს,— განუმარტა ქორქა.

— ჩემთ პატარა მარი, სწორედ ამისათვის მოყვდი ახლა, რომ გადოგცეთ შენისონა პატარა ბაჟშების მაშების მიერ შეგროვილი და გამოგზავნილი ფული— და გაუწოდა ანას შეკრული პარკი. ქალმა გახარებულმა ჩამოართვა და მიძირთა ბაჟშებს.

— ამ შეიდო, იმ სიბჭოთა ქავნიდან გამოგვიგზავნეს, მე რომ ტელაპარაკებიდით.

ბაჟშებმა სიხარულით ხტუნვა დაიწეუს და სმამადლა გაიძახოდენ: „გაუმარჯოს რემედასს!“.

კორე და ანა გაბრწუინებული თვალებით უცქეროდენ მათ სისარულს.

მარი კეჩხუაშვილი.





## ՑԱՆԿԱՑՈՒ ՑԱՂՑՈՒՄԱՆ.

Յոշիմեցօն Առնո.

Յօրշաբակ	ծագմա	նայագույն.
մյարդ	,	յնմեռա.
մյամի	,	ըս.
մյատեղ	,	մակարացածոյն.

(Սպաս Բարեմուալցին Արտահա զըլս; օսմու գրունցըլութիւն էրպէուց, ոժոց համուրձիւն Արտահա նայագույն, տուցլու լուցիւն. միունու գույն. զըլս և միշտանց շըմքարցու. Շըմուրձիւն Արտահա ծագմա.)

Դոջոր տօնլա?

Միուն և ներցին

Մոյլ մօրամուս

մոյլոյնա.

Ճախտելումա

Ճամացնիմա,

Ճայր օսց.

(Ճամույշիւն մուսանցաւը Շըմուրձուն ոյնուածնութիւն).

1 Ռյացումինըլու, յանու, յանու,

նյ, նյ մասնացնի,

բարձրա, նախավինա.

Քամտրուն և նյանուն մլուց ընդունիս,

შეის სხივებს

გაუცინა.

10. ნუ მომწევეტო, ჰატარებო,  
ქლიფს გამითბა ღურჯი გული.  
მაცალეთ, რომ მეც ვისილო  
მძვენიერი გაზაფხული.  
დიდი სანი თოვლ ქვეშ ვიუავ,  
სიციფისგან დამალული.  
კერ მოვცოცხლდე, გავისარდო  
და მომწევიტეთ გადაძლილი.

1 ოქტ. ერთი შეხეთ,  
იმ ბუჩქის ძირს  
ენედები როგორ ჰემაუის!

2 ოქტ. მავას თურქე გაზაფხულის  
მახარობლად მოაქვს თავი.

ენძელა. მართალს ამბობ, ჰაწაწინავ,  
უკეთაზე წინ ამოველი.

საკადული. მთის ჰატარია ნაკადულშა  
დაემტვრიე კინგის რეალი,  
მთის მკერდიდან მოფანაობ,  
მეტად მარდი, მეტად მალი.  
მინდვრად ჩავალ, ძოვრწავ განებს,  
დასილევად უკეთას უშევე,  
დასიცხულ გულს გავუგრილებ  
მომუმავე მაჭრალ მუშებს.  
ეკელა შემტრფის, უკეთა მიუვარს,  
არავის არ კეჭაურები.

ხედავთ, მინდვრად გაბდავძალე  
ათასფერი ეპავილები.

კულა ერთად. უკეთა მოგეწონს: ია, ვარდი,  
ბადი, კელი, ნაკადული,  
და ეს უკეთა ერთად არის  
გაზაფხული, გაზაფხული.

# კატარა

## გევენებზები



გაზაფხულის მშენიქრი და-  
რა იქთ, მსე ახლად ამოსულიყო,  
რაძენიმე სხივი მისდგომოდა

დეოს ფანჯარას და თვალებში უღირინებდა ლოგინძი შროლიარე  
ჩეოს. დეო სან იქთ გადაბრუნდებოდა, სან აქთ, არიდებდა  
ტვალს მსეს, მაგრამ მსე თითქოს ჯიბრზე აღვიძებდა, თითქოს  
ეუბნებოდა: გაიღვისე, დეო, გაიღვისე. სომ ბეჭრი სამუშაო გაქს, განა მმომენდს აძრენ სანს სმინავს?

დეო უძაგრდება მსეს, ის ტებილ სისმარმა. სედავს თავის  
ოთახს, სადაც ეკელგან მავთულია მოდებული, დეო რადიოს აქტ-  
თებს, კორზე ახვევს მავთულს ისე მარჯად, რომ საწაა გაათავებს,  
ერთი ბეწოდ და სასმენიდაა საჭირო. აი, გრუმეთა სასმენიც, დაიდო  
ეურზე და გარემოვით გაიგონა სმაური. სიხარულისაკან აღფრთო-  
ვანებულმა დეომ ერთი საძინლად შეჭევირა:

„ისმის, ისმის“, და თან თებლები გაბჭეიტა.

შემინებული დედა თავს წაადგა დეოს.

— რა იქთ, შეილო, რა ისმის?

— რადიო!

დეო შერცხვენილი გაჩრდდა, დედამ და ბებიამ კი სიცილი  
მორთეს.


— დეო, შენი ამხანავის ფანჯრის რასენი რადიო ბებონა.

— რა დაგემართა, დეო, როგორ დაგმინებია, აკი კოქვით,  
რომ ადრე უნდა დაგვეწეო მუშაობა.

— დამემინა, გილო, დამემინა. წუხელი, შენ რომ წახვედ,  
მე კედარ მოვითმინე და განვაგრძე მუშაობა და თითქმის მოვათა-  
ვი ახლა შეერთება-და უნდა.

— უოჩაღ, ლეო! თთოქმის მოგითხვებია მუშაობა.

— განა დრო არ იქო, გიგლო? თთოქმის მეშვიდე დღეა, რაც



— ისმის, ისმის...

მომეკიდოსო, ამოდენა მავთულები გაჭის გაფანტულიო.

— ადე! ადე! ბეჭრის ნუ ლაპარაკობ, ჩქარა ჩაიცვა.

— აცერ შეად ვარ. ანძა სომ შეად გვაჭის, ახლა შეერთებადა უნდა და სასმენი მიღდ.

ლეო და გიგლო მოუსხდეს რადიოს მოსაწესრიცებულება, მაგრამ ეს ისე ადეილი არ გამოდგა. ლეო და გიგლო დილიდან საღამოძევ მოუსხდეს რადიოს განწესრიცებას და გეჭიდ კი შექარათ, ვართუ შეტყმალა რამეო. აგრ გაათავის, შეუერთეს ანძას, დაიდო ლეო სასმენი მიღდი და ცოტა სწის შემდეგ მოჟიშა სმაური. ლეოს თვალები გაუბრწეონდა და კახარებულება შეჭერია:

— ახლა კი მართლად ისმის, სასეთ!!

ლეო სან ერთს გაუწვიოდა სასმენს, სან მეორეს.

— მეც მომეტი სასმენი, მეც. — უიროდენ ბაგშები, რომლებიც ლეოს გარემო მოგროვილიყვნენ.

დედა და ბებია განცუდულებული დასძვროდენ ბაგშებს თავზე.

დაგიწევთ. რაც კი სჯერათ, თუ ჩვენ გაფაკეთებით ნამდვიდლ რადიოს. მეტადრე ბებიაჩემა გამიჭირა საქმე, სულ ბუზღუნებს: თქვენ რა რადიოს გამჭეთებული ხართო, ათი თორმეტი წლის ბალდებით. ნუ აქოთებთ აქაურობასი.

— რა კუროთ, რაც უნდათ ის სტეფან, ჩვენ კიდევ საქმით დაფუძნებიცებთ.

— რას დაუმტკიცებ, გიგლო, ბებიაჩემს! ამ რათახში აღარ შემოდის, ცეცხლი არ


აღარ შეად ვარ. ანძა სომ შეად გვაჭის, ახლა შეერთებადა უნდა და სასმენი მიღდ.

## აგა ერთი შევიხედო

ადრიანი გაზაფხულის შექმ შეანათა თთარის თთახში, გამოა-  
 დვიძა. ოთარი ძაღლიან გაახარა შექმ, რადგანაც მამა ჰირდებოდა,  
 რომ, გამოზაფხულდებოდა თუ არა, წაიყვანდა საფეხტოები.

თთარი წამოსტა, სწრაფად ტანთ ჩაიცეა, გავიდა თავის მა-  
 მასთან თთახში.

— მამაჩემო, მამა, გახსოვს, რომ მირდებოდი, გაზაფხულზე  
 საფეხტოები წაგიუანო.



ბაზა—ისმის სკებწი.

— კარგი, წაგიუან,— უთხრა მამამ,— მსოლოდ თუ არ იცელ-  
 ქებ და ფუტკრებს სელს არ ახლებ.

ოთარი დაბროდა თავის მამას, რომ არც იცელქებს და არც  
 ფუტკრებს ახლებს ხელს.

ოთარის სისარელის სასდევარი არა ჭრონდა, ის აღარ მოშო-  
 რებია თავის მამას, რადგანაც ეძინოდა მამა მარტო არ წასული-  
 ეთ და არ დატოვებდა იგი მინ.

ოთარი და მისი მამა, როგორც იქნა, გაუდგინ გზას.

— იქ თაფლიც იქნება? — შეეკითხა თთარი მამას. ოთარი ცნო-  
 ბისმოვეარე ბავშვი იქო და ამიტომ აძლევდა თავის მამას მრავალ  
 კითხვას.

— როგორ აშენებს ფუტერით თაფლის? — შეეცითხა ისევ თოარი.

— როგორ? აგიძნი, დამიგდე უწინ.

ფუტერის გამოაქვეს ჭვავილების გულიდან ტებილი სითხე, ამ სითხიდან აკეთებს ტებილსა და პეტრილ თაფლს, რომლითაც ის ზამთარიდი იქნებება და ბაზმიანიაც საქმაოდ უწილადებს, აძლევს აკრეთვე თავის ნაფერბ ცვილს, რომლისსაგანაც სანთელი კეთდება. თავის გამოსაკვლებად ფუტერით არავის არაფერის ბრომებს, შეოლოდ ქმრერება მას, კინც ხელ უძლის სასარგებლო მუშაობაში.

თავის მტერს ფუტერით ჩემად როდი ეპარება, პირდაპირ შეკბრმოლება ხოლმე.



დედა სკაძი ერთია და ორნაირ კვერცხსა სდებას: სამუშას და სამამალის კვერცხსა სდებას: შირველიდან იქცებიან დედა და მუშა ფუტერება, მეორედან — მამალი დედა-ფუტერები.

დედა-ფუტერი განაფერელიდან შემოდვომის ბოლომდე სდებს კვერცხსა სდებას, მალიან ბევრისა სდებს სამუშა კვერცხსა სდებას, რადგანაც მუშა სელი რაც მეტი იქნება სკაძი, მით უფრთ ბედნიერია სკა.

დედა-ფუტერის მოყრილ და ლამაზი ტანი აქვს. მუშა ფუტერით კი თუქმა ტანად ბატარაა, მაგრამ ეკელავერის ის აკეთებს სკაძი: აკროვებს თაფლს და უვავილის მტერს, ემსახურება დედა-ფუტერის, სდარაჯობს და იცავს მტრისაგან სკას. მამალი კი ჭამის მეტის არაფერის აკეთებს.

ამ ბაასით ოთხი და მამა მივადენ სკასთხ.

ოთარის მამა ფუტერებს და სტრიალებდა, ზოგი სკას უწენდდა, ზოგი ს ათვალიერებდა.

ოთარი კი გაერთო თამაშები, შეაგროვა ფიცრები და დაიწერ  
სკის გაპეტება. ამ დროს ოთარშა შეამნია,  
რომ მას მამა მოძორდა, ისარგებლა ამით,  
მივარდა სკასთან და ძე სედა ძირი ნახვრეტ-  
ში. მას უნდოდა ენახა, როგორ აკეთებ-  
დენ ფუტერები თაფლს. სახესე უაცრად სა-  
შინელი ტკივილი იგრძნო მან და ლოება სა-  
შინლად გაუსივდა. მას კერ გაეცო, რათ ჟა-  
ბინეს, ის ხომ მათი მტერი არ იყო, ის  
კი ოთარს სელ გააჭირება, რომ, როდესაც  
ფუტერარი მოფრინდა, მან ხელი დაიწნია და ამით გააჭაფრია.

ოთარი და ფუტერები ძალიან დამეგობრდენ ბოლოს, ისინი  
მას სელ აღარ ახლებდენ, ისე რომ ოთარი მათი ჩეირი სტუმარი  
გახდა.

შეუერარდა ოთარს ფუტერები, ეკელაზე უფრო შეუერარდა მუ-  
ა-ფეტერარი, რადგანაც იგი ეკელაზე პატარაა და ეკელაზე მეტს  
კი შრომობს.

6. უთურგაური.



ლაუა გაუსცედა.





ბავშვისა სკოლაში დი-  
ლადაფრიან მოიცარეს თავი.  
დღეს შე უფრო თბილია

და უხვად აბიექს თავის სსივებს დედამიწის გულზე.  
თოვლის საბანი დაწყეცილა და ცოტმლად დნება.

მისი ცოტმლები ნაგადულად ერთდებიან და ეთველი ჟენის გა-  
დადგმას შე მირაცხავებენ დაბლობისაკენ.

იქ, დაბლობში, მდინარე უხვად იერთებს ამ აუარებელ ნაგა-  
ღვლის და სევში გამმაცემულად მიშეის.

— ჩვენი თოვლის კაცი დაძინარა! — წამოიძახა პატარა ქა-  
თომ და, მართლაც, სასწავლებლის ეზოში თრი კვირის წინათ-  
ბავშვებისაგან შეგუნდავებული თოვლის კაცი უკვე შესამჩნევად დამ-  
ლისვალიერ, როდესაც ახალ გაზაფხულის თბილი შეის სსივები  
მოხვედროდა.

— გავისტუმრეთ ზამთარი და იმიტომ!

— როდის გაქრება ეს თოვლი სულ? — იკითხა მელომ.

— ამ თრ დღეში ჩვენი სკოლის ეზოში თოვლი სულაც აღარ  
იქნება, თუ ასეთი ამინდები დადგა, — სთქვა დიტომ და სასწავ-  
ლებლისაკენ გაეშურ.

იმ დღეს მასწავლებელმა მოწაფების ახალი გამჭვილი აუხსნა  
გაზაფხულის შესახებ. კეკლა მიხვდა, თუ რატომ დნება თოვლი  
გაზაფხულის დადგომისთანავე. დიტომ მასწავლებლის ნათქამი თა-  
ვის რვეულში ჩაიწერა.

გადასწევიტა, თვალეური ედენებია შეის მიერ სითბოს მოძა-  
რებისთვის. უნდა გაეპო, რომელი უავილი შეხვდებოდა პირველ გაზა-

ფხულს, რომელი სე გაიფერჩქებოდა უცელაზე ადრე და ეს და-  
კირფებანი კი თავის დღიურში უნდა ჩაეწერა.

როდესაც სწავლა გათავდა, ბავშვები დიდი ხმაურობით გამოც-  
კიადენ კარში და სასლებისაკენ გაემურენ. დიტო, სონა და ქეთო  
ერთად წამოვდენ. გზაში სონამ, ერთ მუხის მირში, სადაც თოვ-  
ლი უპყვე დაძინარიეთ, ჯგუფ-ჯგუფად ამოსული თეთრი ეგავილები  
დაიხსნა. უცელანი ამ ეგავილებისაკენ გაეჭრენ.

— რა ეგავილია ეს? — იკითხა სონამ და მირს დაიხარა მის  
მოსაგლევად.

— სუ მოგლეჭ, — დაუმალა დიტომ, — ხომ სედავ, რა დაძი-  
ხებია, ცოდვაა.

— არა, უნდა მოვ-  
გლოჯო, დედას მიუუტან  
და ის გამოიცნობს.


— არა, არა, მეც  
გამოვიცნობ, — წამო-  
იძანა ქეთომ, — დაძ-  
ხა, მასწავლებელმა ასე  
არა სოქა, რომ გაზაფხულის მასარობელი ენძელა არისო?

სონამ მაინც რამოდენიმე მათგანი ჯგუფად შექმრა და თაიგული  
გააკეთა.

ქეთოს და დიტოს ეგავილები შეცოდათ. მათ თავისი ნაწილი  
ისევ მუხის ქვეშ დატოვეს, ხვალ ისევ გამოივლიან და ინახულე-  
ბენ, თუ როგორ იცვლიან ფერს თეთრი ეგავილები.

დიტო როდესაც მინ მიკიდა, სადილის შემდეგ თავის დღიურ-  
ში შეძლევი ამბავი ჩასწერა:

„დღეს ბავშვებში მაღიან ბეჭრი გითხმაშე. მასწავლებელმა ასა-  
ლი გაჟერილი ბეჭისნა გაზაფხულის შესახებ. სკოლიდან უკან  
რომ გმრუნდებოდით, თბილი მზე მაღიან გვათბობდა, ისე გვათ-  
ბობდა, რომ ბაღტოს განდაც კი მოვინდომეთ. როდესაც მდინარე





კოდურას ხიდზე გამოველით, წეალი ამდგრეულიურ და შომწუოდა.  
იქვე სონამ მუხის ქეშმ ლურჯი უფავილები დაინახა. კვინდოდა გა-  
მოგვეცნო, რა უფავილი იქთ, მაგრამ კერ შეველით. ერთი თაცეუ-  
ლი წამოვიღეთ მხოლოდ სახლძი. გზაში ამისთანა უფავილები კი-  
დებ ბევრი გამოჩნდა. უქვე აღარაა, გაზაფხული დამდგარა. შინ ეს  
უფავილი რომ მიგიტანეთ, დედაშ სთქა: ეს ენელი გაზაფხუ-  
ლის მასარობელითათ. კი მაგრამ გაზაფხულის მასარობელი ხომ  
მერცხალიც არის? მერცხალი ხომ ჯერ არ გამოჩენილა? აღმათ  
ისც მაღვე მოვა.

დ. ცაცქიშვილი

## გ უ შ ა ს

მუშავ, ვინ დასძლევს შენს მაგარ კუნთებს,  
წინ მიგაქვს დროშა წითელი ფერი.  
ვერ გაუმაგრდა სულ ვერაფერი,  
შრომა თვით მშრომელს ბედსა აკუთვნებს,  
მიტომ შენია დღეს ყველაფერი.  
შენ ხარ ძლიერი, ტანჯვას აიტან,  
მუდამ კაედები, რკინით იზრდები;  
შენ მაინც შენსას ყველგან გაიტან,  
გამარჯვებული მარად იქნები.  
შენ ხარ შემქმნელი მთელი სიმდიდრის,  
შენსვე უფლებას იპოვებ მითა,  
შენი ოცნება წინ მედგრად მიჰქრის,  
ბოლოს თავდება გამარჯვებითა.

ვანო ხუშხეველი.

## გვიაჩვე, ძის ნიკო.

— აბა, შევუდგეთ ჩვენს საქმეს, — უთხრა რეზომ ამხანაგებს.

რეზომ და მისი ამხანაგები ხშირად იკრიბებიან, ერთად მეცა-  
დინეობენ, კითხულობენ წიგნებს და ხშირად ხან ნიკოს და ხან  
ელენეს ეკითხებიან, რაც თვითონ არ  
იციან, ან რაც ვერ გაიგეს.



კარული ჟამთარში.

რეზომ დაიწყო კითხვა, სხვები  
კი სულგანაბული უგდებდენ ყურს.  
მეორე ოთახში ელენესთან მოსუ-  
ლიყვნენ ქალები და მსჯელობდებ-  
სხევადასხევა საკითხზე.

მალე ნიკოც მოვიდა.

— გამარჯობა, ყმაწვილებო, —  
უთხრა მან ბავშებს. — იყავით სამხე-  
ცეში? რა ნახეთ, რა მოგეწონათ.

— უჲ! რა არ ვნახეთ! გალიაში მედიდურად დადიოდა ლომი,  
ქრელი ვეფხი ბრაზიანი თვალებით გამოიყურებოდა, მაიმუნები  
კისერს იტეხდენ, ხტებოდენ, იმანჭებოდენ, დათვები გაღიის  
რკინას ლოკავდენ და ზღვის ლომი კი უცნაურად ყვიროდა, —  
სთქვა რეზომ.

— რა ლამაზია ვეფხი! — წამოიძახა გივიმ.

— ოჲ, რამხელა დათვებია, ძია ნიკო! — სთქვა ვასომ.

— თეთრი დათვიც ნახეთ?

— თეთრი დათვიც არის? ჩვენშიაც არის, ძია ნიკო?

— არა, ჩვენში არ არის, მაგრამ არის კი.

— რატომ ჩვენშიც არ არის? — იკითხა გივიმ.

— რაღაი ასე გაინტერესებთ, მოდი გიამბობთ, — სთქვა ნიკომ  
და დაიწყო:

თქვენ დღეს სხევადასხევა ფერის ცხოველები ნახეთ. მეცნიერე-  
ბის მიერ დამტკიცებულია, რომ

ცხოველების ფერი დამოკიდე-  
ბულია იმაზე, თუ რა ფერისაა  
გარემოცული ბუნება. მაგალი-  
თად, ლომი და ვეფხი უდაბურ  
ადგილებში ბინადრობენ, სადაც  
ირველივ უმთავრესად მუქი მო-



კარული ჟამთარში.

ყვითალო ფერისაა ყველაფერი, და ეს ცხოველებიც ხომ ამ ფე-  
რის არიან და არ ჩანან, როდესაც ეპარებიან თავის მსხვერპლს.

ავიღოთ თეთრი დათვი. სად ცხოვრობს ის? ყინულოვანი რკეანეში. რით იკვებება? სელაპით, ზღვის ლომით, აი, თქვენ რომ ნახეთ, და თევზით. ირგვლივ ყინულითაა ჟველაფერი გადათეთრებული. სელაპები ხანგამოშვებით ამოცყოფენ თავს ყინულში ამოტეხილი ადგილიდან და სწორედ იქ დარაჯობს მათ თეთრი დათვი. ის რომ თეთრი არ იყოს, ვერაფერს ვერ დაიქვერდა და სიმშილი მოჰკულავდა. მუდამ მწვანე ტროპიკული ტყების ცხოველები კი მწვანე ფერისაა. აი, ამას ჰქვიან მფარეფელი ფერი, ვინაიდან როდესაც ცხოველები, ფრინველები და ქვეწარმავალნი იმ ფერის არიან, რა ფერისაც არის ირგვლივ ბუნება, მათ უადვილდებათ საზრდოს შოვნაც და აგრეთვე მტრისაგან თავის დაფარვა. მაშ, ხელსაყრელი ყოფილა მათთვის ასეთი ფერი.



ტრნდრის ტყის ჭაობი ზამთარში.

მაგრამ არიან ისეთი მწერები, ქვეწარმავალნი და ცხოველებიც, რომელნიც ძალიან განსხვავდებიან თავისი ფერით გარემოცული ბუნებისაგან და მათი დანახვა შორიდან შეიძლება. რით არის ეს გამოწვეული? ისინი ან შხამიანი არიან, ან ცუდი სუნი უდისთ და ამიტომ მათი დაქვერა და შექმა არავის უნდა. მათთვის, მაშასადამე, დამალვა კი არ არის საჭირო, პირიქით, ისინი თვალში ეჩირებიან ყველას, ეს მე ვარ, მყრალი ან შხამიანი და არ შეგუდეს, ჩემი დაქვერა არ მოინდომოო. მაშ, იმათთვის გარემოცული ბუნებისაგან განსხვავებული ფერი მფარეფელი ფერია.



ჩვენში, ბავშებო, არც ზაფხულია ცხელი და არც ზამთარია ძალიან ცივი, მაგრამ ზოგ ქვეყანაში ცხელი ზაფხულის შემდეგ ძალიან ცივი ზამთარი დგება. რა უნდა ჰქნან ცხოველებმა? თუ იმათ გრძელი და ხშირი ბეწვი ჰქონდათ ზამთარში, რომ სიცივისაგან დაეფარათ თავი, ზაფხულში ხომ სიცე შეაწესებსთ? და, აი, ბუნებამ აქაც უშველა: მათ გაცივდებათ ხოლმე ბეწვი, რომ გაუძლონ ზაფხულის სიცეს. ჩრდილოეთში ცივა და ამიტომ იქ ცხოველებს ზამთარში გრძელი და ხშირი ბეწვი აქვთ, მაგალითად, თეთრ მელიას, რომელსაც გრძელი და ღუნდულა კუდი აქვს, ყარყუშს და სხვ. სწორედ ზამთრობით ხოცავენ ამიტომ ასეთ ცხოველებს.

ძნელია ასეთ ცხოველებზე ნადირობა, მაგრამ მონაცირებები მაინც ახერხებენ მათ დახოცვას. ძნელი წარმოსადგენია, ბავშვები, რამდენ ბეწვეან ცხოველს ხოცავენ ყოველწლიურად საბჭოთა კავშირში: საზღვარგარეთ გააქვთ 150 მილიონი მანეთის ბეწვეული, ახლა თვით ჩვენს კავშირში რამდენს ხმარობენ!

იმათ ბეწვეს ხან ტანისამოსს გამოვაკრავთ შიგნით, რომ უფრო თბილი იყოს, ხან კისერზე ვიკეთებთ.

რა უნა ჰქნან ამ ცხოველებმა, რომ უკეთ დაიფარონ თვი მტრებისაგან? ზამთრობით ირგვლივ თეთრია ყველაფერი, ზაფხულ-ზი—სულ სხვა ფერის. აქაც შველის მათ ბუნება და, გარდა იმისა, რომ ხან საზაფხულო ტანისამოსი აციათ, ე. ი. მოქლე ბეწვები აქვთ, ხან კი საზამთროდ არიან გამოწყობილი, ე. ი. გრძელი და ხშირი ბეწვით არიან დაფარული, —ისინი ფერსაც იცვლიან. მაგალითად, ჩრდილოეთში მელია ზამთრობით სულ თეთრია, ზაფხულზე კი რუხი, აგრეთვე ყარყუმიც, რომელსაც ზაფხულზე ზურგი სულ შავი აქვს და თეთრი ზოლი მხოლოდ მუცელზე და გვერდებზე მიუყვება, ზამთარში კი მთლად ერთიან თეთრდება და ძნელი და-სანახავი ხდება. მინდვრის თავი კი არ იცვლის ზამთრობით ფერს. რატომ? იმიტომ, რომ მას არ სჭირდება თოვლში რბენა, ის სო-როში წევს.

ფრინველებიც იცვლიან ფერს. გაზაფხულზე ბევრი მათგანი გაცილებით უფრო კრელია, ვიდრე შემოდგომაზე, ზამთარში ტუნდრაში (ჩრდილოეთთან) არის ე. წ. თეთრი ტყის ქათამი, რო მელიც ზაფხულზე კრელია, ზამთარში კი სულ თეთრი. გარდა ამისა, ზაფხულზე მისი ბუმბული თხელია, ზამთარში კი მკვრივი და ამიტომ კარგად იფარავს სიცივისაგან

აფრიკაში ცხვრებს ძალიან თხელი მატყლი აქვთ, იქაურ ძალ-ლებს სულ არა აქვთ ბალანი, ქათმებს იქ სულ გასცვიდათ ბუმ-ბული. მაგრამ თუ იქაურ ძალლებს ჩვენში მოკიცვანთ, მათ თანდა-თან ამოუვათ ბალანი, მათ ლეკვებს უფრო მეტი ბალანი ექნებათ, იმათ ლეკვებს კიდევ მეტი და, ბოლოს, ჩვენი ძალლებივით გახდებიან. ასევე დაემართებათ ცხვრებსაც.

ასეა, ბავშვებო, ცხოველები, მწერები, ქვეწარმავალნი, ფრინველნი და, საერთოდ, კველა ცოცხალი არსება ცდილობს შეეგუოს ბუნების პირობებს.

ჩვენ რომ ქვეითად დავდივართ, ფეხსაცმელი გვიცვდება. როგორ გვონიათ, ფრინველებს ფრენის გამო არ უცვდებათ ფრთები? რასაკვირველია, უცვდებათ. რა უნდა ჰქნან მათ? ბუნება მათაც შველის და უცვლის ფრენის იარაღს: მათ თანდათან გასცინ-

დებათ ხოლმე ბუმბული და სამაგიეროდ ახალი, უფრო კარგი ამოდის. ხომ იცით, რომ გაზაფხულზე ჩვენში მოფრინდებიან თბილი ქვეყნებიდან სხვადასხვა ფრინველები, შემოდგომაზე კი ისევ იქ მიფრინავენ. ზოგი მათგანი 10.000 ვერსს გადიფრენს ხოლმე და განა ფრთები არ გაცვდება? აი ასეთი ფრინველების დიდი უმრავლესობა სწორედ გადაფრენის წინ დაიკვლის ფრთებს და, ამრიგად, სათანადოდ შეემზადება თავისი მოგზაურობისათვის.

საერთოდ ჩვენში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ ცხოველებსა და ფრინველებს და მათზე ნადირობა მაშინ, როდესაც ისინი მრავლდებიან, ბარტყებს ჩეკენ და ან შეილებს ზრდიან, ჩვენი კანონებით აკრძალულია. ძალიან საინტერესოა ცხოველებისა და ფრინველების ცხოვრება და ძალიან ბევრი კარგი წიგნიც არის ამაზე დაწერილი.

— ძია ნიკო, მოგვეცით ასეთი წინგები, ჩვენ ერთად წავიკითხავთ.

— დანგრი, ახლავე მოეძებნი, — სთქვა და გავიდა მეორე ოთახში. ღორბა ხნის შემდეგ კარებში გამოჩნდა ნიკო წიგნით ხელში.

შ. ფარცხნალელი.

## ჩვენს გპითაველებს

ცისაც სამი თვით გქონდათ გამოწერილი უურნალი

===== „ო პ ტ ი მ ა რ ე რ ი“ =====

არ დაბავით და გადასახლის განვითარება, თორმე უზრდები აღარ  
გამოიგებავთ.

„ოქტომბერელის“ რედაქცია



# **ბეჭედის მუნიციპალიტეტი**

**ექსპერტისა ქ. ხორხელის აგრძელების ქავშაღება კარჩანაში.**

ჩვენ, ქ. ხორხელის I შეიდწლელის მე IV ჯგუფის მოწაფეებს, გვსურდა გავუწობოდით ძაფსალებ ქარხანაში მუშაობას. ამიტომ 1928 წლის 3 თებერვალს წავედით მოწაფეები ქარხანაში. ეს ქარხანა წინათ ეკუთვნოდა კერძო პიროვნებას. ქარხანა მაშინ, ახლანდელთან შედარებით, უბრალო იყო. ახლა კი იქ სდგას გაუმჯობესებული მანქანები, რომლებიც მეტად სწრაფად მუშაობს.

ქარხანაში სულ მუშაობს 252 მუშა. ამათგან ქალი 235. მუშაობა წარმოებს ორ წყვებად.

ახლა ხონში შენდება დიდი ძაფსალები ქარხანა, რომელიც ამ ქარხანაზე ბევრად უკეთესი იქნება. ქარხნის შენება დამთავრებულია. ამჟამად იღვმება მანქანები. ახლო მომავალში ქარხანა დიდ შემოსავალს მისცემს როგორც ხონს, აგრეთვე მის რაიონს რაც მოსახლეობას. ეკონომიკურად მთალონიერებს და კულტურულად წინ წასწევს.

მე-IV ჯგ. მოწაფე ვანტანგ ნადარეიშვილი.

## **გაზაფხული აღებს პარებს**

მალე, ჩქარა ამწვანდება  
არემარე, მინდორ-ველი,  
და ბუნებას დაამშვენებს  
ყვავილები ათასეური.

გაზაფხული აღებს კარებს,  
და ზამთარი იწურება.  
ხედავ, ჩიტი როგორ გალობს?  
ყველაფერი იფურჩენება.

ალექსანდრე მინდაძე.

==== 1928 年 =====

三月三十日

苏联统计出版社  
苏联中央统计局

编者：米哈伊尔·尼古拉耶维奇·列别捷夫  
校对：尼古拉·尼古拉耶维奇·列别捷夫  
印制：苏联中央统计局

出版者：苏联中央统计局  
印制者：苏联中央统计局  
印制厂：苏联中央统计局

苏联中央统计局  
苏联中央统计局

格拉夫·尼古拉耶维奇·列别捷夫	“苏联统计学” —— 印刷 —— 3 页。50 页。
	“苏联统计学” —— 印刷 —— 2 页。
普拉图·尼古拉耶维奇·列别捷夫	“苏联统计学” —— 印刷 —— 5 页。
	“苏联统计学” —— 印刷 —— 3 页。
尼古拉·尼古拉耶维奇·列别捷夫	“苏联统计学” —— 35 页。
	“苏联统计学” —— 25 页。

地址：莫斯科市，新库兹涅茨克街 22 号，苏联中央统计局（莫斯科中央统计局）。  
“苏联统计学” —— 30 页。  
“苏联统计学” —— 30 页。  
“苏联统计学” —— 30 页。  
“苏联统计学” —— 30 页。

苏联中央统计局 —— 苏联中央统计局  
苏联中央统计局 —— 苏联中央统计局